

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

წარმოგიდგენთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშს მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების შსაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის საბოლოო დაზუსტებული მოცულობა **20 293 600** ლარით განისაზღვრა რაც 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით 3 214 8000 ლარით 18,8 % არის გაზრდილი.

გადასახადები

დაზუსტებული ცვლილებით გადასახადების სახით მისაღები შემოსავალი საბოლოოდ **8 883 500** ლარით განისაზღვრა რაც მთლიანი ბიუჯეტის 43.7%-ს შეადგენს. 2021 წელთან შედარებით **2 012 900** ლარით, 29.2 % არის გაზრდილი.

გრანტები

მისაღები გრანტების საბოლოო მოცულობა **7 972 800** ლარით განისაზღვრა. 2021 წელთან შედარებით **2 446 500** ლარით, **44.2 %**-ით არის გაზრდილი. გაიზარდა განსახორციელებელი პროექტების რაოდენობა. ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები განკუთვნილი იყო შემდეგი პროექტებისთვის:

- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - **145 000** ლარი თავდაცვისუნარიანობის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხელშეწყობისთვის;
- საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის - **299 200** ლარი;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - **346 000** ლარი;
- მაღალმთიანი დასახლების განვითარების პროგრამა - **650 000** ლარი;
- საპილოტე რეგიონებში ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში - **1 471 1000** ლარი;
- რეგიონული განვითარების ფონდი - **5 096 100** ლარი;

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავალი დაიგეგმა **820 000** ლარით რომლის შესრულებამ შეადგინა **882 900** ლარი. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა **7,6 %**-ით.

არაფინანსური აქტივების კლება

მუნიციპალური ქონების პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალი დაიგეგმა **450 000** ლარით. შესრულებამ შეადგინა **1 069 000** ლარი. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა **237 %**-ით.

ნაშთები

საანგარიშო პერიოდში აქტიურად დაიწყო წინა წლებიდან გადმოყოლილი კაპიტალური პროექტების ნაშთების ათვისება. თანხა შედგენდა **480 200** ლარს, რომლებიც განკუთვნილი იყო სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის.

სოციალური სფერო

2022 წლისთვის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამის ფარგლებში სულ **22** ქვეპროგრამა განხორციელდა, რომლისთვისაც წლის დასაწყისში ბიუჯეტი **581 691** ლარით განისაზღვრა, თუმცა წლის

განმავლობაში მისი კორექტირება რამდენჯერმე განხორციელდა და 2022 წლის ბოლოსათვის სოციალური ბიუჯეტი **712 049** ლარამდე გაიზარდა, რომლითაც საერთო ჯამში მუნიციპალიტეტში მცხოვრები **2000**-მდე მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება.

აღნიშნული პროგრამებიდან როგორც მომართვიანობის, ასევე ფინანსური კუთხით ყველაზე დიდი წილი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას მიემართება. 2022 წლიდან **300** ლარით გაიზარდა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების ზედა ზღვარი და იგი **1300** ლარი გახდა. ამასთანავე, აღნიშნული თანხის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამით სრულად ფინანსდება ონკოლოგიური პაციენტების გამოკვლევების, ოპერაციების თუ სხვა მანიპულაციების ხარჯები. გაიზარდა აგრეთვე, მედიკამენტების დაფინანსების თანხა, რომელიც ონკოლოგიური პაციენტისთვის წლის განმავლობაში **300** ლარით განისაზღვრა, სხვა პაციენტებისათვის კი **100** ლარი გახდა. გასულ წელს სამედიცინო მომსახურების დაფინანსების პროგრამით **600**-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა, ხოლო მედიკამენტები დაუფინანსდა **503** პირს.

სოციალური ბიუჯეტის ფარგლებში დახმარება გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპული **8** მებრძოლის ოჯახს, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ **178** ვეტერანს და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე **10** პირს. ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები გაიცა **3** ოჯახზე;

უფასო სასაბავშვო მომსახურებით ისარგელა **65**-მა ბენეფიციარმა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ **21** პირს დაუფინანსდა ტრანსპორტირების ხარჯი. ფინანსური დახმარება გაეწია **17** მარტოხელა მშობელს, **94** ობოლ ბავშვს **58** მრავალშვილიან ოჯახს და **49** ახალშობილის ოჯახს. ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამაში ჩაერთო **12** ოჯახი, რომელთაც სხვადასხვა სახის მხარდაჭერით ისარგებლეს. *(კერძოდ: მეწველი ფურის შესაძენად თანადაფინანსება გაეწია ოთხ ოჯახს; საცხოვრისში წყლის სისტემის მონტაჟისთვის თანხა გამოეყო სამ ოჯახს; საკერავი მანქანა შეეუძინეთ ერთ ოჯახს; პროფესიის დაუფლების მიზნით გადამზადდა ერთი პირი; წვრილფეხა პირუტყვი შეეუძინეთ ერთ ოჯახს; საოჯახო ტექნიკის შეძენაში დაეხმარეთ 2 ოჯახს.)*

2022 წლის განმავლობაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ დარჩენილი **24** ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ბინის ქირით. ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად დახმარება გაეწია **9** ოჯახს. ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლა თანადგომის საჭიროების მქონე **355** ოჯახმა. 500 ლარით დასაჩუქრდა **6** დღევრძელი მოქალაქე (100 წელს გადაცილებულ პირი).

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გათვალისწინებული ფინანსური რესურსი მიმდინარე წელს გამოყენებული იქნა შემდეგი ღონისძიებებისთვის:

- ყოველწლიური დახმარება (**150** ლარის ოდენობით) გაეწია **37** შშმ ბავშვს.
- ჰიგიენური საშუალებები დაუფინანსდა გადაადგილებაშეზღუდულ და ეტლით მოსარგებლე **14** შშმ პირს.
- შშმ ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის უზრუნველყოფილი იქნა სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურება კურორტ ურეკის მაგნიტური ქვიშით (15 ბენეფიციარზე).
- მთელი წლის განმავლობაში დაფინანსდა პარასპორტსმენტა ყოველკვირეული ტრანსპორტირება სპორტდარბაზში, სპორტულ ვარჯიშებზე რეგულარული ჩართულობის მიზნით.
- წლის განმავლობაში 3-ჯერ მოეწყო პარასპორტსმენტა გასვლითი სპორტული შეჯიბრება და თითოეულ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნა ტრანსპორტირებისა და კვების ხარჯები.
- შშმ პირთა ცნობიერების ამაღლების მიზნით დაფინანსდა შემეცნებითი აქტივობები.
- დღის ცენტრისა და სარეაბილიტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის მიზნით **4** შშმ პირს დახმარება გაეწია ტრანსპორტის ხარჯების უზრუნველსაყოფად.
- სამკურნალო ხარჯები დამატებით დაუფინანსდა **4** შშმ პირს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სოციალური მიმართულებითაა საინტერესო, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამაა. აღნიშნულ პროგრამას სახელმწიფო აპრილის თვიდან ახორციელებს და დასაქმების ხელშეწყობ სხვა ღონისძიებებს შორის შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას ითვალისწინებს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს, როგორც მოსახლეობის ინფორმირებისა და მხარდაჭერის, ასევე მონიტორინგის ნაწილშიც აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური სამსახური. თუ პროგრამის დასაწყისში მუნიციპალიტეტში მხოლოდ 4 სოციალურად დაუცველი პირი იყო დასაქმებული, დღეისათვის მათი რაოდენობა მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 102-ს შეადგენს და ეს რიცხვი დღითიდღე იზრდება.

კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია, სოციალური პროგრამის ფარგლებში გახარჯული თანხებისა და არსებული ნაშთების შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ ცხრილის სახით მოცემულ დანართში, რომელიც თან ახლავს ანგარიშს.

დანართი

**სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ
გაცემული თანხები 2022 წლის მდგომარეობით**

№	ღონისძიებების დასახელება	სულ გასაცემი თანხა	გასაცემი თანხა ერთეულზე	გაცემული თანხა	დარჩენილი თანხა	დაკმაყოფილებულ კაცთა რაოდენობა	შენიშვნა
1	სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება.	260597	-----	252 757	7 840	592	50 მოქალაქეზე გაცემულია საგარანტიო წერილი მომსახურების თანადაფინანსების თაობაზე
2	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.	3 250	250	750	2 500	3	

3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.	2 400	300	2 400	0	8	
4	უფასო სასადილოს დაფინანსება	51 752	-----	46 533.35	5 218.65	65	
5	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	14 100		13 900	200	49	
	მე-2 შვილის შემენისათვის		200	4 800		24	
	მე-3 შვილის შემენისათვის		300	5 100		17	
	მე-4 და შემდეგი შვილის შემენისათვის		500	4 000		8	
	ტყუპების შემენისას		800				
6	სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი	8 700	-----	8 700	0	12	
7	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა	48 000		47 150	850	378	
8	ვეტერანთა დახმარება	18 800	-----	18 800	0	178	
9	შ.შ.მ. პირთა დახმარება	40 000		37 467	2533	110	
9	18 წლამდე ასაკის შშმ ბავშვთა ფინანსური დახმარება		150	6 300		37	
9	შშმ პირების სამკურნალო- სარეაბილიტაციო ლონისძიებების დაფინანსება		-----	8692.5		5	
9	შშმ პირთა ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა.		100	1389.89		14	
9	შშმ პირთა სოციალური და ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება		-----	21 084.61		60	
10	ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის	2 000	200	2 000	0	10	

	აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება						
1 1 .	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	3 100	500	3 000	100	6	
1 2 .	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	41 600	200	41 600	0	21	
1 3 .	18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება	18 550	200	18 800	-250	61	გაცემული თანხის მონაცემი აღებულია სოციალური სამსახურის მიერ ნაწარმოები რეესტრიდან
1 4 .	მარტოხელა მშობლის ფინანსური დახმარება	5 100	300	5 100	0	17	
1 5 .	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება	13 150	50	12 950	200	58	
1 6 .	უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯები	250	250	0	250	0	
1 7 .	მედიკამენტების დაფინანსება	58 000	-----	54 847.65	3 152.35	503	
1 8 .	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკა და აბილიტაცია	1 600	-----	1 600	0	3	
1 9 .	სასურსათო პაკეტების შექმნა	0	-----	0	0	0	
2 0 .	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა და სხვადასხვა მიზეზების გამო უსახლკაროდ	90 000	-----	88 553	1447	31	

	დარჩენილი ბინის უზრუნველყოფა	ოჯახების ქირით					
2 1 .	ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება		10 800	-----	10 800	0	9
2 2 .	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება		13 300	-----	11 850	1 450	13
2 3 .	ტრანსპორტი		7 000		4 877	2 123	
	სულ.		712 049		684 435	27 614	1964

ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ გეგმაში გათვალისწინებული იყო ის ღონისძიებები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაღდათის უახლოესი მომავლის განვითარების მიზნებისთვის და ისინი ასევე წარმოადგენს საფუძველს განვითარების საშუალოვადიანი მიზნების მისაღწევად. ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახლის შექმნა. ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ჯერ კიდევ არასაკმარისია, მიუხედავად იმისა, რომ რეაბილიტაციის სამუშაოები ყოველწლიურად მიმდინარეობს. აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ეფექტიანად ჩატარება. სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში მისასვლელი გზები ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა გამოწვევად რჩება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის საკითხი. ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია იმ მოცულობის ადგილობრივი შემოსავლები, რომ მხოლოდ საკუთარი რესურსებით მოახერხოს გამოვლენილი საჭიროების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ფონდიდან გაწეული დაფინანსება ხასიათდება მზარდი დინამიკით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული წესით, მუნიციპალიტეტს რგპფ-დან 2022 წელს 11 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოყოფილი ქონდა **5 096 141** ლარი. (ცხრილი #1).

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან შენობების რაოდენობა)	მიმწოდებელი	შენიშვნა
	რგპვ					
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივაძე-შველიძეების ს/გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან)	93 277,00	93 236,00	829	შ.პ.ს. "ბაღდათის ავტოგზა" ს/კ225052732	დასრულებული ო (გარდამავალი 2021 წლიდან)
2	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. ბუიძე-კვირიკაშვილების ს/გზის რეაბილიტაცია (გარდამავალი 2021 წლიდან)	325 000,00	324 024,35	189	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი" ს/კ412716226	დასრულებული ო (გარდამავალი 2021 წლიდან)
3	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. თავხელიძეების ბოგირიდან პირველი საჯარო სკოლისკენ მიმავალი ს/გზის რეაბილიტაცია	716 000,00	711 823,11	875	შპს "გი-ან 2011"	დასრულებული ო
4	ქ. ბაღდათში კ. ფოცხვერაშვილის ქ-ის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია და ამავე ქუჩაზე, სხვადასხვა ლოკაციაზე გვერდულზე ფერდის გამაგრება	211 777,00	208 742,20	480	შ.პ.ს. „ბაღდათის ავტოგზა“ ს/კ225052732	დასრულებული ო
5	სოფ. პირველ ობჩაში პატარიძეების უბნიდან სკოლამდე	692 000,00	675 961,79	1830	შ.პ.ს. „მეკა“ ს/კ 431946754	დასრულებული ო

	მისასვლელი გზის რეაბილიტაცია					
6	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ზივზივამეების ს/გზის რეაბილიტაცია	737 445,00	725 142,64	1582	შ.პ.ს. "ჯეო როუდ ინვესტი" ს/კ412716226	დასრულებული
7	ქ. ბაღდათში თბილისის ქუჩის ჩიხების გზის საფარის რეაბილიტაცია	214 214,00	206424,30	440	შ.პ.ს. „მეკა“ ს/კ 431946754	დასრულებული
8	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხში ე. წ. სანიკიანების საუბნო გზის რეაბილიტაცია	719 000,00	719000	2646	შ.პ.ს. "ჯ და ჯ" ს/კ 221269080	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი მიმდინარე წლის ვალდებულება შესრულებულია
9	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმში ე. წ. ჩიქვინძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	700 000,00	700 000,00	1460	შ.პ.ს. „მეკა“ ს/კ 431946754	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი მიმდინარე წლის ვალდებულება შესრულებულია
10	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევში ე. წ. დევიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	600 000,00	600 000,00	2114	შ.პ.ს. „Georgian Build“	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი მიმდინარე წლის ვალდებულება შესრულებულია
11	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე. წ. კოხობე-შალამბერიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	631 000,00	631 000,00	1729	შ.პ.ს.„მეკა“ ს/კ 431946754	(2022-2023 წლების გარდამავალი პროექტი მიმდინარე წლის ვალდებულება შესრულებულია

2022 წელს რგპვ-დან გამოყოფილი თანხით და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდა **5 595 352** ლარის სახელშეკრულებო ღირებულების 14 174 გრძ.მ. გზის რეაბილიტაცია.

2022 წელს დაწყებული ოთხი გზის რეაბილიტაციის პროექტი გარდამავალია, სამუშაო პროცესი ახლაც გრძელდება და დასრულდება მიმდინარე წელს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის #13 განკარგულების „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ შესაბამისად საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დაფინანსდა სოფ. დიმის #1 და #2 საჯარო სკოლების შენობების სახურავების რეაბილიტაციის პროექტები **110 311** ლარით (ცხრილი 2).

ცხრილი #2

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტობრივი ღირებულება	მიმწოდებელი	შენიშვნა
	სკოლების რეაბილიტაცია				
1	სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის #1 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია	64 084,00	61 659,36	შ.პ.ს. „ნიუსიტი“ ს/კ 443858960	დასრულებული
2	სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმის #2 საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია	53 289,00	48 652,09	შ.პ.ს. „ნიუსიტი“ ს/კ 443858960	დასრულებული

2022 წელს განხორციელდა 51 წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა დაფინანსების წყარო იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი **346 000** ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის **100 000** ლარის თანადაფინანსება. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მოსახლეობამ შეარჩია პრიორიტეტები, რომელთა ნუსხაც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 4 საგზაო და სანიაღვრე ინფრასტრუქტურული ობიექტის რეაბილიტაცია, ღირებულებით **81 396** ლარი.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მოპოვებული გრანტით ბაღდათის მუნიციპალიტეტის ექვს სოფელში განხორციელდა 14 საოჯახო ღვინის მარანთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის ხუთ სოფელში ტურისტული ობიექტების მიმართულებით ვიზიტორებისთვის შესვენების ადგილების მოწყობა. **1 476 992** ლარის დაფინანსებით რეაბილიტირდა 2800 გრძ.მ. გზა, მოეწყო 525 კვ.მ. საფეხმავლო ბილიკი, 1222 კვ.მ. საპარკინგე ადგილი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი **650 000** ლარით, სოფ. ხანში კაპიტალური რეაბილიტაცია ჩატარდა 1854 გრძ.მ. საუბნო გზებს და სანიაღვრე სისტემებს. აღნიშნული პროექტი გარდამავალია, მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში 2023 წელს დამატებით განხორციელდება **124 774** ლარის ღირებულების საგზაო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტები ასევე ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით ინტენსიურად მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით მოსარგებლე იქნება რამდენიმე ათეული ათასი ბენეფიციარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. მეორე ობჩაში ე. წ. ჭყეპნარას უბნის ს/გზის და ე. წ. საბუკიას უბნის ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (რკ/ბეტონის საფარის მოწყობა, სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობების მოწყობა). პროექტის ღირებულება შეადგენს **4 378 029** ლარს. რეაბილიტირებული გზის სიგრძეა 8562 მ.

სახელმწიფო პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ასევე ახორციელებს ქ. ბაღდათის ცენტრის (ა. წერეთლის ქ.) რეაბილიტაციას.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების წარმოების პარალელურად ეტაპობრივად ხორციელდება სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

ეკონომიკა

ქონების მართვის განყოფილება

საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მართვა განკარგვას და ეფექტურ გამოყენებას. ხელს უწყობს ქონების მართვა-განკარგვისთვის მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. 2022 წლის განმავლობაში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა **901 012,49 (ცხრაას ერთი ათას თორმეტი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი)** ლარი. მათ შორის, ქონების *პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 830 853,84* (რვაას ოცდაათი ათას რვაას ორმოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაოთხი თეთრი) ლარს, რაც 100 %-ით აჭარბებს 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების ოდენობას. 2022 წლის განმავლობაში მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული იქნა 24 ელექტრონული აუქციონი (მათ შორის, განმეორებითი და ვადაგარბელებული აუქციონები). შედეგებიდან გამომდინარე, პრივატიზებული იქნა **8 ერთეული უძრავი ქონება** (მათ შორის 5 ერთეული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 12,6 ჰა; 2 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 505.0 კვ.მ. და ყოფილი რაიკავშირის შენობა) და **სპეცტექნიკა (სატკეპნი)**.

2022 წლის განმავლობაში სულ მოქმედი იყო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის 56 ხელშეკრულება. აქედან, 2022 წელს გაფორმებულია 15 ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავლებში სარგებლობის უფლებით გაცემული ქონებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა **70 158, 65** ლარი.

მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმული იქნა საკითხი და მუნიციპალიტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საკუთრების უფლებით

გადმოცემული იქნა 20 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 25 328,0 კვ.მ. მათ შორის, წითელხევის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორია.

მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)ი.პ-ზე გადაცემული იქნა მათი წესდებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო მოძრავი ქონება.

ა.(ა).ი.პ განათლების განვითარების განვითარების და დასაქმების ცენტრისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა სოფელ ზედა დიშში 30.10.31.315 საკადასტრო კოდზე მდებარე უძრავი ქონება (ყოფილი არასრული სკოლა) იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

ა(ა)იპ „საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული 30.11.33.217 საკადასტრო კოდზე მდებარე ყოფილი დაცვის პოლიციის შენობის პირველ სართულზე 10.50 კვ.მ. ფართი, პროექტის „უფლებებზე დაფუძნებული სოციალური სერვისების დანერგვა-მიწოდების პილოტირება, განვითარება ბაღდათის მუნიციპალიტეტში“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით;

მოქალაქეებისთვის სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში ყოფილი პროკურატურის შენობის პირველ სართულზე 13.3 კვ.მ. (ოთახი N3) და 30.0 კვ.მ. (ოთახი N5) ფართები.

ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად მუშაობდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ ბიზნესის ხელშეწყობის, ბიზნეს ინფრასტრუქტურის განვითარების, სამეწარმეო უნარების გაუმჯობესების და ინვესტიციების ზრდის მხარდასაჭერად საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან გარე დაფინანსების მოძიების და პარტნიორული პროექტების განხორციელების მიმართულებით.

2022 წელს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტის „მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება პილოტური ინციატივა მიგრანტთა დაბრუნების თემებში“ ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტი წარდგენილი განაცხადის საფუძველზე შეირჩა პროექტის განხორციელების ერთ-ერთ არეალად, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა საკონსულტაციო ცენტრი, სადაც დაბრუნებულ მიგრანტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს ყოველდღიურ რეჟიმში მიეწოდებათ ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ. 2022 წლის განმავლობაში ფინანსური სახსრების ხელმისაწვდომობაზე, დაფინანსების შესაძლებლობებზე კონსულტაცია გაეწია 200-ზე მეტ დაბრუნებულ მიგრანტს და დამწყებ/მოქმედ მეწარმეს, მოხდა მათი ინფორმირება და გადამისამართება კონკრეტული პროგრამების მიმართულებებით. ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ ტექნიკური მხარდაჭერა გაეწია 30-ზე მეტ მეწარმეს ბიზნეს იდეების-გეგმების მომზადების მიმართულებით. ამასთან პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში დაბრუნებულ მიგრანტს სოფელ დიდველაში ავეჯის წარმოების განვითარებისთვის გადაეცა საწარმოო ინვენტარი.

2022 წელს გარე დაფინანსების მოძიების მიმართულებით იდენტიფიცირებული იქნა მუნიციპალიტეტის დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობები. დაინტერესებულ პირების ჩართულობით მომზადა და გაიგზავნა 7 განაცხადი სხვადასხვა კონკურსებზე. დაფინანსებული იქნა პროექტ PIRD-ს - საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში 1 პროექტი - „ბაღდათის

მუნიციპალიტეტში ტურისტული ობიექტების მიმართულებით 5 ლოკაციაზე ვიზიტორებისთვის შესვენების ადგილების მოწყობა“ - 285 920 ლარით.

2022 წელს მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების მიმართულებით მუნიციპალური სამოქმედო გეგმის SECAP 2023-20230 – ის შემუშავებაზე კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრის REC-ის ტექნიკური მხარდაჭერით. ფაქტობრივად დასრულებული ზემოაღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა, რომელიც შეფასებისა და რეკომენდაციებისთვის გადაგზავნილია ევროკავშირის ექსპერტებთან, შეფასების შემდეგ წარდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის საკრებულოზე დასამტკიცებლად. ეს იქნება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც ექნება ბაღდათის მუნიციპალიტეტს სანდო პარტნიორების და დაფინანსების მოსაძიებლად.

2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიამ, სახელმწიფო პროგრამებში ჩართვისა და დაფინანსების მოძიების მხარდასაჭერად, განახორციელა დაინტერესებული პირებისა და მოქმედი მეწარმეების საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრებისა და ვორქშოპების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც დაფინანსებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების შესაძლებლობებზე ინფორმაცია მიეწოდა 200-მდე დაინტერესებულ პირს.

2022 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტი გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ს მიერ, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის შედეგად შერჩეული იქნა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წევრი მუნიციპალიტეტებს შორის საპილოტე ინიციატივის განსახორციელებლად. 2022 წლის ბოლოს საერთაშორისო კომპანია ARUP -ის ტექნიკური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების ჩართულობით დაწყებულია „ახალი თაობის“ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის მომზადება, რომელიც მიმართული იქნება ადგილობრივად მწვანე და ციფრული განვითარების ხელშეწყობაზე.

ტურიზმის განვითარების განყოფილება

მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციად ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში დასაქმებული სუბიექტების ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ლოკაციებით დაინტერესების გაზრდისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ხორციელდება აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ტურისტულ ორგანიზაციებთან.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ადგილობრივ მეწარმეებთან ერთად სტუმრობდა ლიეტუვის რესპუბლიკას, კერძოდ კაიშიადორის მუნიციპალიტეტს. ვიზიტის ფარგლებში ტურისტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობების დამყარების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. კაიშიადორის ადგილობრივ კოლეჯსა და მერიაში გაიმართა პრეზენტაცია ბაღდათის ტურისტული პოტენციალის შესახებ;

ბაღდათში ღვინის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულ ევროპის მევენახეობა-მეღვინეობის კულტურული მარშუტის ”Inter-Vitis“-ის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წარვადგინეთ თემა „ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება და ღვინის ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ბაღდათის მუნიციპალიტეტში“;

მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართულობით, ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, დამზადდა ხანის ჩანჩქერთან და ქვის სამგანყოფილებიან საწნახელთან მისასვლელი

ორენოვანი ტურისტული ბანერი და გზის მაჩვენებლები. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, აგრეთვე განხორციელდა ტურისტული ბილიკების მოწყობა;

სოფელ ხანში მდებარე სამგანყოფილებიანი საწნახელისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების მიზნით, ტურიზმის განვითარების განყოფილების ინიციატივითა და აქტური ჩართულობით მოწვეული იქნა კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს წარმომადგენლები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მისანიჭებლად;

ბაღდათის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი წარმოების რძის პროდუქტების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სტუმრად იმყოფებოდა 4 კაციანი ჯგუფი ქართული ყველის მკვლევარის ანა მიქაძის ხელმძღვანელობით. შეიქმნა პირველი კატალოგი ქართული ყველის შესახებ, სადაც განთავსდა ხანის ქვევრის ყველი;

იმერეთში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) ორგანიზებით მ/წელს განახორციელდა პროექტი „იმერული გემო.“ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ვიდეორგოლი დამზადდა ბაღდათის გასტრონომიის შესახებ, რომელიც აქტიურად გავრცელდა სოციალურ ქსელებში, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს გასტრონომიული ტურიზმის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში;

ტურიზმის განვითარების განყოფილების აქტიურობითა და ორგანიზებით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ტურიზმის სფეროში დასაქმებული სუბიექტებისთვის ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგ-კურსები.

სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება

2022 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის მიერ აქტიურად ტარდებოდა შეხვედრები ადგილობრივ ფერმერებთან, მეღვინეებთან და სოფლის მოსახლეობასთან სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმირებისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით. შედეგად, სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ის კუთხით, ბაღდათის გაშენების კომპონენტში დაფინანსების პროცესშია 3 ბენეფიციარი დაფინანსებული კულტურის გაშენებაზე, საერთო ფართობია 21 ჰა; მერძევეობის მოდერნიზაციის პროგრამაში ჩართულია 10 ბენეფიციარი, საბოლოო შედეგები ჯერჯერობით არა არის ცნობილი, მიმდინარეობს მესამე ეტაპი. 7-მა ბენეფიციარმა თანადაფინანსების პროგრამით შეიძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. პირველ ობჩაში სახელმწიფო დაფინანსებით (600 ათას ლარამდე შეღავათიანი აგროკრედიტი) შეიქმნა ხილის მიმღებ- გადამამუშავებელი საწარმო.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების ჩასატარებლად, ძირითადად კერძო სექტორიდან, მობილიზებული იყო 36 ერთეული სხვადასხვა სახის მანქანა-ტრაქტორი, დამუშავებული მიწის ფართობმა შეადგინა 1397 ჰა. გარკვეული კლება წინა წლებთან შედარებით (2012წ.) გამოწვეული იყო ტექნიკის სიმცირითა და მომსახურების ხარჯების უკონტროლო ზრდით, რის შესახებაც ჩვენს მიერ საკითხი დასმულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა საშემოდგომო ხვნის კუთხით, თითქმის გაორმაგებულია დახნული ფართობების რაოდენობა, განსაკუთრებით როხისა და ვარციხის ერთიან ფართობებში და შეადგენს 65 ჰა-ს.

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, 2022 წლის დასაწყისში მერის ბრძანებით შეიქმნა შტაბი 6 კაცის შემადგენლობით, რომელიც კოორდინაციას უწევდა მიმდინარე სამუშაოებს ამ კუთხით. ფაროსანას გავრცელების მასშტაბის განსაზღვრის მიზნით ტერიტორიულ ერთეულებში დაყენებული იყო 75 ფერომონი, რაც საშუალებას იძლეოდა გვეკონტროლებინა ფაროსანას გავრცელების ინტენსივობა და ჩაგვეტარებინა შესაბამისი შეწამვლითი სამუშაოები, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. ამ კუთხით სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან დასაქმებულია 15 პირი.

2022 წლის განმავლობაში აქტიურად ტარდებოდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომელთა მონაწილეობით, მოეწყო ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქციები – 22 მარტს წყლის დაცვის საერთაშორისო დღესთან, 22 აპრილს – დედამიწის საერთაშორისო დღესთან და 16 სექტემბერს – ოზონის შრის დაცვის დღეებთან დაკავშირებით. მოხდა 4 სტიქიური ნააგავსაყრელის დახურვა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შექმნა სამუშაო ჯგუფი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით. შედეგად შემუშავებულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის პრიორიტეტული მიზნებია: მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტურობის უზრუნველყოფა, ნარჩენების სეპარირებისა და კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გერემოს დაცვის და ნარჩენების მართვის სფეროში.

განათლების, კულტურის და სპორტის სფერო

კულტურის სფეროს მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო და განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთაგან პირველ რიგში მნიშვნელოვანი და გამოსაყოფია ბაღდათობის ტრადიციული დღესასწაული, რომელიც მასშტაბურად აღინიშნა, სადაც წარმოდგენილი იყო კულტურის, ხელოვნების, სპორტის და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედებები და გამოფენა-გაყიდვები, ასევე განხორციელდა ბაღდათის საპატოო მოქალაქეების დაჯილდოება.

მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მთავრობის კანცელარიის ორგანიზებით გამართული საახალწლო ღონისძიება და „ღვინის ფესტივალი“, სადაც ადგილობრივ მეწარმეებთან და შემსრულებლებთან ერთად, დედაქალაქიდან ჩამოსულმა ესტრადის ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა.

ასევე გამოვეყოფ ბაღდათის სახალხო თეატრის წარმატებულ გამოსვლას „იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე“, სადაც ჩვენმა დასმა ოთხ ნომინაციაში მოახერხა გამარჯვება.

გარდა ამისა წლის განმავლობაში განხორციელდა კიდევ უამრავი სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიება, რომელთაგან შეიძლება გამოიყოს რევაზ ლალიძის 101 და ვლადიმერ მაიაკოვსკის 129 წლის იუბილის აღნიშვნა.

სპორტის სფეროს მიმართულებით მნიშვნელოვანია ის რომ წლის განმავლობაში მუნიციპალური შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთის, ფრენბურთის და მაგიდის ჩოგბურთის განხრით, სადაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით 300 მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა.

აქტიურად იმართებოდა ვეტერანი ფეხბურთელების სახელობის ტურნირები.

ზაფხულზე რალის ფედერაციასთან შეთანხმებით მოეწყო ავტორალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო როგორც ადგილობრივმა, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა ავტო მრბოლელებმა.

ასევე აღნიშვნის ღირსია „სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, რომელიც 2015 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება და ყოველწლიურად შეჯიბრებები ტარდება სპორტის შვიდ სახეობაში როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში, საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის.

განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ფაქტია ის რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან სამმა აბიტურიენტმა შეძლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში ას პროცენტის გრანტის მოპოვება, რომლებიც წახალისების და მოტივაციის ამალგების მიზნით ფულადი პრემიით დავაჯილდოვეთ.

ასევე აღსანიშნავია ესეების კონკურსის გამართვა, რომელშიც ასამდე ბავშვი იღებდა მონაწილეობას და გამარჯვებულებს ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ახალი წიგნები გადაეცათ.

მასშტაბური პროექტი განხორციელდა 27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღეს, რომლის ფარგლებში აფხაზეთისა და აგვისტოს ომში დაღუპული გმირების სახელობის ბარელიეფები გაიხსნა ყველა იმ საჯარო სკოლაზე, სადაც ეს ომის გმირები სწავლობდნენ.

ახალგაზრდული მიმართულებით პირველ რიგში გამოსაყოფია ის ფაქტი, რომ საკრებულოზე დამტკიცებული იქნა „ახალგაზრდობის სტრატეგია“ 2023-2026 წლებისათვის, სადაც გამოყოფილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ახალგაზრდობისათვის, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია.

ასევე გამოვყოფ ახალგაზრდული საბჭოს აქტიურ მუშაობას, რომელიც მოგეხსენებათ ყველა ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეული წევრებისაგან შედგება და მთელი წლის განმავლობაში უამრავი სახის ღონისძიებების განხორციელება შეძლეს.

მასშტაბურად და საინტერესოდ აღინიშნა 12 აგვისტო, „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“, გაიმართა სხვადასხვა სახის სპორტული და გასართობი ღონისძიებები. სადამო დაასრულდა ადგილობრივი ბენდის კონცერტით.

ზედამხედველობა

ზედამხედველობის სამსახური მისი დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს:

ახორციელებდა კონტროლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე, მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე.

სამსახურის სპეციალისტებმა შეისწავლეს და შესაბამისი რეაგირება მოახდინეს მოქალაქეთა განცხადებებზე, სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ და შიდა სამსახუროებრივ წერილებზე.

2022 წლის მანძილზე სამსახურს დაეწერა და რეაგირება მოახდინა 173 წერილზე, მათ შორის 54 წერილი განეკუთვნებოდა მოქალაქეთა განცხადებებს, 61 წერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს და 58 შიდა სამსახუროებრივს.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 7 სამშენებლო სამართალდარღვევა. მშენებლობაში მონაწილეთა მიმართ კანონის შესაბამისად გაიცა მითითება, რათა გონივრულ ვადაში მოეხდინათ სამშენებლო სამართალდარღვევის გამოსწორება. შვიდივე კანონდამრღვევი დაჯარიმდა კანონის შესაბამისად. სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ შეადგინა 7400 (შვიდიათასოთხასი) ლარი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღებულია და ვარგისად აღიარებულია 13 მშენებლობა დასრულებული ობიექტი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია და ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოს განსახილველად გადაეგზავნა 2 ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის საქმე. სასამართლომ ორივე სცნო დამნაშავედ,

მაგრამ ადმინისტრაციული სახდელი შეუფარდა მხოლოდ ერთს (რომელსაც დღეის მდგომარეობით ჯარიმა არ გადაუხდია), ხოლო მეორე სამართალდამრღვევს მიეცა შენიშვნა.

სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან შემოსული ჯარიმების ოდენობა წლის მანძილზე შეადგენს 450 ლარს.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურადაა ჩართული დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებაში.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებიდან სამსახურს დაეწერა 31 ურჩი გადამზდელის საქმე, რომლებიც გაფრთხილებული იყო კანონის შესაბამისად როგორც წერილობით ასევე ზეპირსიტყვიერად. აქედან უმეტესმა მოახდინა დასუფთავების მოსაკრებლის დავალიანების გადახდა, ხოლო ერთი გადამზდელის საქმე გადაეცა სასამართლოს განსახილველად (პროცესი არ შემდგარა).

სამხედრო სამსახური

2022 წლის განმავლობაში სამხედრო სამსახური ჩვეულ რეჟიმში ახორციელებდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევას ან გაწვევისაგან გადავადებას, რეზერვისტთა მოძრაობის თვალყურის დევნებას და შესაბამის რეაგირებას, მოქალაქეთა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას, მიღებული განცხადებების განხილვას და შესაბამისი პასუხების გაცემას.

სამხედრო სამსახურის ერთერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა, შესაბამისად მეტ ყურადღებას აღნიშნულ საკითხზე გავამახვილებ.

2022 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევა.

საგაზაფხულო გაწვევაზე გამოსაძახებელი იყო 357 წვევამდელი, რომელთაგან გამოცხადდა 203 წვევამდელი, ამათგან 189-მ ისარგებლა გაწვევისაგან გადავადებით, ხოლო გაწვევისგან გათავისუფლდა 4 წვევამდელი. ჩაირიცხა და დღესაც მსახურობს 6 წვევამდელი. მოძიებული ინფორმაციით გაირკვა რომ საზღვარი გადაკვეთილი აქვს 63 წვევამდელს.

საშემოდგომო გაწვევაზე გამოძახებული იქნა 401 წვევამდელი, გამოცხადდა 240, აქედან გაწვევისაგან გადავადებით ისარგებლა 230-მა, ხოლო გათავისუფლდა 2 წვევამდელი. საზღვარი გადაკვეთილი ჰქონდა 88 წვევამდელს.

დღევანდელი მონაცემებით სულ აღრიცხვაზე დგას 901 წვევამდელი, 6365 რეზერვისტი, ხოლო აღრიცხვაზე ასაყვან 2006 წელს დაბადებულ მოქალაქეთა რაოდენობა შეადგენს 112-ს.

შიდა აუდიტი

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა 3 ა(ა)იპ-ის საქმიანობის და 1 მუნიციპალური პროგრამის შემოწმება და ჯამში შედგენილი იქნა 4 ობიექტის შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში.

აუდიტორულ შემოწმების შედეგად შესწავლილი და შეფასებული იქნა აუდიტის ობიექტების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამუშაო ქმედებები რამდენად შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, არსებულ წესებს, საუკეთესო გამოცდილებებს და რამდენად იქნა შესამოწმებელი ერთეულების მიზნები და ამოცანები მიღწეული და შესრულებული.

2022 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად, სულ აუდიტის სამსახურის მიერ ობიექტებზე ჯამში გაცემული იქნა 23 რეკომენდაცია. შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მიზანია, აუდიტის ობიექტში შიდა კონტროლის სისტემების დანერგვითა და

გაძლიერებით, უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება რისკების მართვისათვის, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

ზემოხსენებული 4 აუდიტორული ანგარიშის გარდა 2022 წლის განმავლობაში საკრებულოს წინაშე შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ მომზადებული და წარდგენილი არის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში, 2022 წლის I, II და III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები. აღნიშნული შემოწმება გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესწავლას, დაგეგმვასა და შესრულებას შორის სხვაობების მიზეზების დადგენას, პრობლემების გამოვლენას და რეკომენდაციების გაცემას, ასევე სამსახურიდან და აიპებიდან გამოთხოვილი ინფორმაციების საფუძველზე მათ მიერ აღნიშნულ დროში გაწეული საქმიანობის შესრულების მდგომარეობის შემოწმებას და მათ გაანალიზებას.

ასევე საკრებულოს მიერ გამოგზავნილი წერილის შესაბამისად, რომელიც გულისხმობდა ვადაგადაცილებული კორესპონდენციების მონიტორინგს, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას და პრობლემების გამოვლენას, აუდიტის სამსახურის მიერ მოხდა კორესპონდენციების შემოწმება, რის შედეგადაც საკრებულოსთვის წარდგენილი იქნა აღნიშნული საკითხის კვლევის შედეგები. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების მიზნით გაცემული იქნა 5 რეკომენდაცია.

2022 წლის ბოლოს სამსახურის მიერ, მოხდა წინა წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმება, შესაბამისად შედგენილია მონიტორინგის ანგარიში.

აუდიტის სამსახურის საქმიანობა წლის განმავლობაში არ შემოიფარგლებოდა, მხოლოდ აუდიტორული შემოწმებებით და ზემოაღნიშნული ანგარიშების შედგენით. აუდიტის სამსახურს ხშირი კომუნიკაცია აქვს მერიის სამსახურებთან და აიპებთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა საკითხებზე და წამოჭრილ პრობლემებზე კონსულტაციების გაწევით, რჩევების მიცემით, აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით.

ადმინისტრაციული სამსახური

სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის ეკონომიკის და საჯარო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ის მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას. წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვცდილობთ გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები. იმისთვის, რომ საჯარო ფინანსების რესურსების განაწილება რაციონალურად განხორციელდეს სრულიად ტრანსპარენტულ გარემოში, სადაც ასევე მინიმიზებულია ყოველგვარი კორუფციული რისკები.

მუნიციპალურ შესყიდვებს წლის განმავლობაში ანხორციელებდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილება.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შესყიდვების გეგმა მიღებული იქნა საბიუჯეტო და სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის დაცვით, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პარამეტრების გათვალისწინებით. დამტკიცებული გეგმით შესასყიდი საქონლის, სამუშაოს და მომსახურების მოცულობამ მუნიციპალიტეტისათვის აუცილებლად გასაწევი ხარჯების გათვალისწინებით შეადგინა **347 900** ლარი, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში **11 814 200** ლარი. 2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების კვალობაზე შესაბამისად მოხდა შესყიდვების გეგმის კორექტირება და

საბოლოოდ დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობის (15 822 100 ლარი) გათვალისწინებით გაფორმდა 268 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 11 322 900 ლარი. შესყიდვებში მნიშვნელოვანი წილი ჰქონდა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ (5 096 100 ლარი) თანხას, რაც გეგმის 45,0%-ია, საპილოტე პროექტების განსახორციელებად გამოყოფილ (1 471 200 ლარი) თანხას, რაც გეგმის 12,9 %-ია), სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გამოყოფილი 346 000 ლარი, რაც გეგმის 3,0%-ია, მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისათვის 650 000 ლარი, რაც გეგმის 5,7%-ია, და სკოლების რეაბილიტაცია და მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი 264 500 ლარი, რაც გეგმის 2,3 %-ია თანხებს.

2022 წელში გაფორმებული 268 ხელშეკრულებიდან 56 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ხელშეკრულება გაფორმდა 10 272 800 ლარი.

184 ხელშეკრულება დაიდო გამარტივებული შესყიდვის შედეგად, საერთო თანხით 848 400 ლარი;

კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად, რომელსაც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ერთიანად ატარებს - 22 ხელშეკრულება, საერთო თანხით 159 500 ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმდა 6 ხელშეკრულება თანხით 42 300 ლარი.

2022 წლის განმავლობაში გამოცხადებული იქნა და არ შედგა 20 ტენდერი, ხოლო 4 ტენდერი შეწყვეტილი იქნა, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3 ტენდერი.

აღსანიშნავია, რომ პირველად 2022 წელს პოსტპანდემიური სიტუაციის შემდეგ ყველა დაკონტრაქტებული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თუ სხვადასხვა ფონდებიან გამოყოფილი თანხების ფარგლებში შესრულდა 100 პროცენტით და მუნიციპალიტეტი პირველ ადგილზე იმერეთის რეგიონის მასშტაბით.

შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ეკონომიის მაჩვენებელი ყველაზე მეტი დანაზოგით, ისევე როგორც წინა წლებში მაღალია სამშენებლო სამუშაოების კატეგორიაში და საინჟინრო მომსახურების სფეროში. გასულ წელში პრეტენდენტთა საშუალო მონაწილეობის მაჩვენებელი ამ სფეროში იყო 3-ის ტოლი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვენს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში ინტერესდებიან და მონაწილეობას იღებენ რეგიონიდან მოშორებული მუნიციპალიტეტებიდანაც.

საქმის წარმოება და დოკუმენტბრუნვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა, შესაბამისი კანონმდებლობისა და მერიის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყო საქმისწარმოების წარმართვა შემდეგი მიმართულებით

- მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათთვის კონსულტაციის გაწევა მერიაში არსებული სერვისებისა და მომსახურების შესახებ
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, ასევე ფოსტით და ელექტრონული ფორმით შემოსული კორესპოდენციების, აღრიცხვა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემებში შესაბამისი წესით დარეგისტრირება და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნა.
- გასაგზავნი კორესპოდენციების რეგისტრაცია და ფოსტით, ელ. ფორმით ან სხვა დადგენილი ფორმით გაგზავნა, ასევე ადრესატებისთვის მიწოდების კონტროლი.
- საარქივო დოკუმენტაციის განსაზღვრა და არქივისთვის გადასაცემად მომზადება.
- საჯარო ინფორმაციის მომზადება.

საქმისწარმოების განყოფილება 2022 წელს დოკუმენტების აღრიცხვისა და დამუშავებისთვის იყენებდა ორ ელექტრონულ სისტემას (msda და mms)

2022 წლის დასაწყისში საქმისწარმოება სრულად შეითავსა ახალმა სისტემამ (msda) თუმცა მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით mms სისტემის გამოყენება განახლდა 2022 წლის პირველი მარტიდან და ამ ეტაპზე აღნიშნულ სისტემაში აღრიცხება სოციალური პროგრამები.

კორესპოდენციის რაოდენობები msda -სისტემაში:

კანცელარიაში შემოსული კორესპოდენცია (მომართვა, განცხადება) - 5598

მათ შორის: . ვადაგადაცილებული დამუშავების პროცესში **107** დოკუმენტი,

. ვადაგადაცილებით დახურული (შესრულებული) – **610**.

. სისტემაში მომზადებული ბრძანებების რაოდენობაა - **2092**

. გასული კორესპოდენციის რაოდენობა **3796**

დანართში წარმოდგენილია mms სისტემაში აღრიცხული დოკუმენტბრუნვის სტატისტიკა:

ინფორმაცია სოცილური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში 2022 წელს (mms სისტემაში აღრიცხული) განცხადებების შესახებ

N	პროგრამის დასახელება	დადებითად დასრ.	უარყოფ. დასრულებ.	სულ შემოსული
1	სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება.	496	14	510
2	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები.	3	0	3
3	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარება.	1	0	1
4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	43	4	47
5	თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა (ერთჯ. ფინანს. დახმ.)	280	23	303
6	ვეტერანთა დახმარება	14	0	14
7	შ.შ.მ. პირთა დახმარება	36	4	40
8	ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის აღდგენითი სამუშაოების მონაწილეთა დახმარება	10	0	10
9	დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკი) მოქალაქეთა დახმარება	6	0	6
10	დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება	4	0	4
11	18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება	37	1	38
12	მარტოხელა მშობლის ფინანსური დახმარება	9	3	12
13	მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური დახმარება	32	5	37

14	მედიკამენტების დაფინანსება	333	31	364
15	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკა და აბილიტაცია	3	0	3
16	ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება	13	0	13
	სულ	1320	85	1405

2022 წელს დამუშავდა და ცენტრალურ არქივს გადაეცა 2012 წლის მატერიალური, მუდმივად შესანახი დოკუმენტაცია

საქმისწარმოების განყოფილების მიერ მუდმივად მუშავდება ცენტრალური არქივისათვის გადასაცემი მატერიალური დოკუმენტაცია განსაზღვრული პერიოდულობითა და დამტკიცებული ნომენკლატურის შესაბამისად.

2022 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოვიდა 79 იურიდიული და 37 ფიზიკური პირის წერილი და განცხადება. ყველა მათგანზე პასუხი გაცემულია დროულად. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ დაფიქსირებულა.

იურიდიული განყოფილება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულმა განყოფილებამ 2022 წლის ჭრილში დაამუშავა 360 კორესპონდენცია (შემოსული/შიდა).

აღნიშნულ პერიოდში იურიდიულმა განყოფილებამ აღძრა 1 სამოქალაქო სარჩელი -საიჯარო ქირის დაკისრების თაობაზე; 1 ადმინისტრაციული სარჩელი მოსაკრებლის თანხის დაკისრების თაობაზე. წარადგინა 7 შესაგებელი ადმინისტრაციულ/სამოქალაქო სარჩელებთან დაკავშირებით, რომელთაგან 2 შესაგებელი ეხებოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული განკარგულებებისა და საკუთრების უფლების მოწმობების ბათილად ცნობას, 1 - საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემული მიწის ნაკვეთის შესახებ ცნობის ბათილად ცნობას, 1 - მშენებლობის ნებართვის ბათილად ცნობას, 1 - ადგილზე დათვალის დათვალიერების ოქმის ბათილად ცნობას, 1 - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას, პირგასამტეხლოს შემცირებისა და თანხის დაბრუნების თაობაზე, 1 – მიწის მიღება- ჩაბარების აქტის ბათილად ცნობასა და ახალი აქტის გამოცემას.

2022 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდა ერთი ადმინისტრაციული სამართლებრივი დავა, რომელიც ეხებოდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ მიღებული განკარგულების ბათილად ცნობასა და ახალი აქტის გამოცემას. პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ძალაში დატოვა აღიარების კომისიის მიერ გაცემული განკარგულება.

2022 წელს ასევე დასრულდა 4 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის აღსრულების პროცესი, რომლებიც ეხებოდა მოსაკრებლის თანხის დაკისრებას. მოპასუხე მხარეებმა სრულად დაფარეს დავალიანებები.

იურიდიულმა განყოფილებამ 2022 წელს მოამზადა ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები და ქირავნობის ხელშეკრულებები საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად ფართის ქირით უზრუნველყოფის შესახებ. მერიამ 23 ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით.

რაც შეეხება პირის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის საქმიანობას, 2022 წლის ჭრილში აღნიშნულმა კომისიამ განიხილა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთი შუამდგომლობა და მოქალაქეთა ორი განცხადება. სამივე მათგანი დაკმაყოფილდა.

საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 30 დეკემბრამდე შემოსულია 9491 დავალება აქედან :

- ელექტრონულად საჯარო რეესტრიდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან შემოსული, ვიზირებული და პასუხგაცემულია 1863 წერილი;
- კანცელარიაში მოქალაქეების მიერ დაწერილი და პასუხგაცემულია 828 დოკუმენტი, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეების მიერ შეტანილი და პასუხგაცემულია 3000 მდე განცხადება (ცნობები: ქონების ფლობის, კომლის შემადგენლობის, საცხოვრებელი ადგილის, ადგილწარმოშობის, მემკვიდრეობის შესახებ)
- შევსებული და სამოქალაქო რეესტრში გადაგზავნილია 160 ზე მეტი პირის გარდაცვალების ოქმი;
- ასევე გაცემულია 200 მდე ნებართვა მიწის ნაკვეთების გაყოფა - გაერთიანების შესახებ;

მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელ კომისიაზე 2022 წელს განსახილველად შემოვიდა 200 ზე მეტი განცხადება;

1. საცხოვრებელი ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 40 განცხადება; დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 25 ბენეფიციარს საცხოვრებელი ბინის ქირით.
2. საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის შესახებ შემოვიდა 28 განცხადება; 5 განცხადება დაკმაყოფილდა და დახმარების მიზნით მათ გადაეცათ 2350 (ორიათას სამას ორმოცდაათი) ლარი; ორი განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.
3. საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 31 განცხადება; აქედან დაკმაყოფილდა 3 განცხადება. 2 მოქალაქეს გაეწია ფულადი დახმარება 1300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით. ერთ მოქალაქეს გადაეცა მეორადი მასალა.
4. სტიქიით მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 29 განცხადება; აქედან დაკმაყოფილდა 12 განცხადება და დახმარების მიზნით ჯამში გაიცა თანხა 8200 (რვაათას ორასი) ლარი. სამი განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.

5. ხანძრით მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 11 განცხადება; აქედან დაკმაყოფილდა საცხოვრებელი 8 საცხოვრებელ სახლზე განცხადება, 5 განცხადება შემოსული იყო დამხმარე შენობა ნაგებობაზე, ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით ჯამში გაიცა თანხა 10 300 (ათი ათას სამასი) ლარის ოდენობით.

6. სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის შესახებ შემოსულია 6 განცხადება; აქედან დაკმაყოფილდა 3 განცხადება. დახმარების მიზნით ჯამში გაიცა თანხა 1850 (ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

7. საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 4 განცხადება; დაკმაყოფილდა ერთი განცხადება. დახმარების მიზნით გაიცა სამშენებლო მასალები 10200 ლარის და თანხა 4000 (ოთხათასი) ლარის ოდენობით.

8. ხე მასალით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 3 განცხადება; დაკმაყოფილდა ერთი განცხადება.

ადამიანური რესურსები

2022 წელი ადამიანური რესურსების მართვის ერთეულისათვის გარკვეული სიახლის წელი იყო.

დაწესებულების მასშტაბით ამოქმედდა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ დანერგილი ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის (ehrms-ის) შემადგენელი ელემენტის-შეფასების ელექტრონული მოდული, რაც გულისხმობს პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების ელექტრონული პროცესის უწყვეტ რეჟიმში წარმოებას. მერიის მენეჯმენტის ერთობლივი მუშაობით, არმ ერთეულის წარმომადგენელთა და პირველი და მეორე რანგის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა უშუალო ჩართულობით, პროგრამის ტექნიკური მხარის ათვისება ტექნიკური შეფერხებების გარეშე შევძელით და საჯარო მოხელეებმა აღნიშნული ელექტრონული პლატფორმით სარგებლობის პრაქტიკული უნარები გარკვეულწილად გააუმჯობესეს. იანვარსა და თებერვლის თვეში მოხდა შეთანხმების ოქმების გაფორმება, ივნის-ივლისში ჩატარდა შუალედური შეფასება და დეკემბერში პროცესი დასრულდა. ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის წარმომადგენელთა ჩართულობით, დაწესებულების პროფესიული საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება შეფასების პროცესს, რომელიც მიმდინარეობდა დადგენილი წესის შესაბამისად.

შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება-2022 წელს, ჯამში, საბოლოო შეფასებას დაექვემდებარა 83 მოხელე (ამათგან 11 გამოსაცდელი ვადით დანიშნული, რომელთგან 6 საუკეთესოდ შეფასდა, ხოლო 5- კრგზე) პროფესიულ საჯარო მოხელეების შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: საუკეთესო შეფასება დაიმსახურა 47-მა, შეფასება "კარგი" 24-მა მოხელემ, შეფასება „დამაკმაყოფილებელი“ ერთმა მოხელემ. ფულადი ჯილდო გაიცა 78 მოხელეზე, მოხელის კლასი მიენიჭა 29 მოსამსახურეს, მათ შორის მე-2 კლასი-26-ს და I კლასი-3 მოხელეს.

2021 წლის შეფასების ანალიზის საფუძველზე, მოხელეთა პროფესიული განვითარებისა და სწავლების საჭიროების გათვალისწინებით, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ შემუშავდა 2022 წლის სასწავლო პროგრამა, რომლის ფარგლებში სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ სავალდებულო საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებში - „მოხელის მენეჯერული უნარები“ გადამზადდა სამი გამოსაცდელი ვადით დანიშნული მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და „საჯარო მოხელის პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი“ გაიარა-ხუთმა გამოსაცდელი ვადით დანიშნულმა პროფესიულმა საჯარო მოხელემ. დამატებით პროგრამებში გადამზადდა მერიის 24 პროფესიული მოხელე, სწავლების თანხამ 2022 წელს შეადგინა ჯამში 17 716 ლარი.

დამატებით, დონორების მეშვეობით და რიგი ორგანიზაციების ინიციატივით, უსასყიდლოდ განხორციელდა მოხელეთა გადამზადება სხვადასხვა საკითხებზე, ინტენსიურ რეჟიმში ხდებოდა დასწრება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გამართულ მოხელეთა online ფორუმებზეც, რომელიც, თავის მხრივ,

მოიცავდა მოხელეთათვის აუცილებელ და საჭირო თემებს, პროფესიული თუ სამოქალაქო შემეცნების კუთხით.

2022 წელს, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ hr.gov.ge გვერდის მეშვეობით, პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადდა 11 კონკურსი, მათ შორის 9 ღია, 2 კი შიდა კონკურსი. აღნიშნული კონკურსები მომზადებული და ჩატარებული იქნა უხარვეზოდ და გათვლილ ვადებში (საკვალიფიკაციო მოთხოვნათა პროექტების მომზადება კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, სამართლებრივი კომუნიკაცია საჯარო სამსახურის ბიუროსთან მიმართებაში, ვაკანსიების განთავსების პროცედურა, განაცხადების გადარჩევა, საკონკურსო კომისიის სხდომების გადაწყვეტილებათა დაოქმება და სხვა). აღსანიშნავია, რომ საკონკურსო პროცედურებთან მიმართებაში აპლიკანტთა მხრიდან არ ფიქსირდება არცერთი პრეტენზია და გასაჩივრების ფაქტი. ერთი ღია კონკურსის მონიტორინგი განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლის მიერ, და დაწესებულებას შენიშვნა კონკურსის ჩატარების პროცედურასთან მიმართებით არ მიუღია.

2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, მერიაში საშტატო ნუსხით განსაზღვრულ 121 თანამდებობაზე ფაქტობრივად ირიცხებოდა 119 მოხელე და 19 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

ადამიანური რესურსების მართვის ერთეული უწყვეტ რეჟიმში მუშაობს MSDA, eHRMS, stjireba.gov.ge და hr.gov.ge ელექტრონულ გვერდებზე, სადაც ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის მიერ შესრულებულია მოცულობითი სამუშაო, რომელზეც წვდომა, ურთიერთთანამშრომლობის ან მონიტორინგის განხორციელების შემთხვევაში, ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ყოველთვის ღია და საჯაროა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დამატებით და სავალდებულოდ, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული პროგრამის ადამიანური რესურსების მართვის მოდულის მეშვეობით (MSDA) ხორციელდება შიდა ორგანიზაციული-მერიის სტრუქტურული ჩონჩხის მართვა მუნიციპალიტეტის მერიის მოქმედი საშტატო ნუსხისა და საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფორმების შესაბამისად.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები მთელი წლის მანძილზე თანმიმდევრულად იტვირთებოდა ოფიციალურ facebook-გვერდზე „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია“- და ვებგვერდზე www.baghdati.gov.ge.

აღნიშნული ვებ-გვერდი რომელიც განახლებულია და დატვირთულია სრული სერვისით, ასევე აქვს უკუკავშირის პლატფორმაც, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ მოგვწერონ თავიანთი შთაბეჭდილებები და მათ მიერ გამოყენებული სერვისების შესახებ შენიშვნები.

გასულ წელს მუნიციპალიტეტს საინფორმაციო მომსახურება გაუწია, სააგენტო „Ipress.ge“, „xnews.ge“, „act2.ge და ტელე-რადიო -კომპანია „რიონმა“, რომლის მომსახურების ჯამური ღირებულებაც 5600 ლარს შეადგენს.

აღნიშნულ სააგენტოებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, მათი დახმარებით ქვეყნის მასშტაბით, საზოგადოებას ვაცნობთ მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ facebook -გვერდზე სისტემატურად იგზავნება ელექტრონული შეტყობინებები მოსახლეობისგან, რაზეც მყისიერი რეაგირება ხდება.

მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, ყოველდღიურად გვაქვს კომუნიკაცია, როგორც იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან, ასევე მთავრობის კანცელარიასთან.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.baghdati.gov.ge. ინფორმაცია განახლებადია, რაც თვითმმართველობის ინდექსის გაუმჯობესებაზე დადებითად აისახება.

გმადლობთ ყურადღებისათვის!